სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

10 ნოემბერი 2023

N 625/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გაიცეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა;
2. სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ სგშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო